№ 253 დეკემბერი 1, ხუთშაბათი — 1888 — დეკემბერი 1, ხუთშაბათი № 253

გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასახეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონის ვა კაპეიკი.

1877—1888 — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1888


## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში).
**ქუთაისში:** ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.
**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.
**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

### ქართული თეატრი

პარასკევს, 2 დეკემბერს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება საქველ-მოქმედო საქმის სასარგებლოდ:

I

ციმბირელი

კომ. 4 მოქმედ. ა. ცაგარლისა

II

ბიძიასთან გამოხუმრება

ვოდ. 1 მოქ. რ. ერისთავისა

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვისა, მელიქოვისა, თამაროვისა, ჩერქეზიშვილისა; ბ. ნნი აბაშიძე, აწყურელი, ყიფიანი, გამრეკლიძე, მაქსიმიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე

---

ტფილისი, 30 ნოემბერი

რუსეთის გაზეთები გვაუწყებენ, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო 1889 წელს, გაზაფხულზე, შეუდგება ცდას—იგვარებს თუ არა კავკასიაში ზეთის ხილის ხე. სამინისტროს აზრით, ზეთის ხილის მოყვანა კავკასიაში ძალიან სასარგებლო იქნება როგორც სახელმწიფოსათვის, ისეც მკვიდრთათვისა, თუ კი ზეთის ხილის ხე კარგად იხეირებსო. თუ მართლა ზეთის ხილმა კარგად იგვარა, მაშინ სამინისტრო შეეცდება ამ ხის გამრავლებას და სახელმწიფო ხარჯითა და ზედამხედველობით მრავალს ზეთის ხილის ბაღებს დაჰმართავს სახელმწიფოს სასარგებლოდ.

უკვე უწყებულია, რომ ზეთის ხილი კარგადა ჰგვარობს მცირე აზიაში, საბერძნეთის კუნძულებზე და დიდ-ძალს მოგებასაც იძლევა. იმედიაო, ამბობენ გაზეთები, რომ კავკასიაშიაც იგვარებსო, რადგანაც ზეთის ხილის ჯიშის მაგვარი ხეები დღესაც კარგად ჰგვარობენ კავკასიაშიო. ეს იმედი მით უფრო უეჭველიაო, რომ ის ადგილები კავკასიაში, საცა ჰსურთ ზეთის ხილის გამრავლება და მოყვანა, თითქმის იმავე გარემოებაში არიან, როგორც საბერძნეთის კუნძულები, და განსხვავება მარტო იმაშია, რომ კავკასიის ადგილები უფრო დასავლეთის მხრივ არიანო. ხოლო ეს გარემოება, უმატებენ გაზეთები, არაფერს ცუდს ზედ-მოქმედებას არ იქონიებს ზეთის ხილის მოყვანაზედო.

ჩვენ ამაზე უტყუარი საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ ამ შემთხვევაში ცდაც საჭირო არ არის, რადგანაც ზეთის ხილის გვარება ჩვენში დიდი ხანია ნაცადია, მაგალითებრ კახეთში, და ამ ცდას ძალიან კარგი შედეგიც მოჰყოლია. სოფელს გარდანეხს დასავლეთით ერთი ხევი ჩამოუდის. ამ ხევის მარჯვენა ნაპირას წმინდა საბას ეკკლესიაა მთის კალთაზე. ამ ეკკლესიის გარემოში დიდი ხანია მშვენიერი ხე სდგას ზეთის ხილისა. იქაურ მკვიდრთა არც-კი ახსოვთ როდის და ვის დაურგავს ეს ხე. ამ ხის ნერგი ერთმა იქაურმა მემამულემ თ. დ. აფხაზმა გადარგო თავის სახელგანთქმულ ვენახში, რომელიც ბოლოს ბ-ნმა შერემეტიევმა იყიდა და ეხლა იმის ხელშია. გადარგულმა ზეთის ხილმა ძალიან კარგად იხეირა, გამრავლდა, გაკეთდა და ისეთი მსხვილი და გემრიელი ხილი მოისხა, რომ მნახველთ უკვირდათ. ეს ხეხილი ისე გაძლიერდა და გაბევრდა, რომ საჭიროდაც დაინახეს გადარჩევა, რადგანაც მეტად გაება და ვაზისათვის ადგილი ცოტად თუ ბევრად დაჰხაფრა. თუ ბ-ნ შერემეტიევის ხელში სულ არ გადაიკაფა ეს ზეთის ხილის ხე, დღესაც შესაძლო იქნება კაცმა საკუთარის თვალით ინახულოს შედეგი დიდის ხნის ნაცადისა.

თითო-ოროლამ სხვა მემამულეებმაც დაჰრგეს თავის მამულში ზეთის ხილი და თითქმის ყველგან იხეირა. ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ თ. დ. აბხაზის დროს და მერმეც ზეთის ხილს ისე ამზადებდნენ საშინაოდ, როგორც ბაზარში იყიდება ხოლმე, და გემოთი და სიმსხოთი ბევრად სჯობდა ბაზარში ნაყიდსა.

სასურველია, ვისიც ჯერ არს, იმან ამ ჩვენ მიერ ნაუწყებს ამბავს ყური ათხოვოს და ეს უეჭველი საბუთი ზეთის ხილის ჩვენში ხეირობისა შეამოწმოს როგორც რიგია და რაც უკვე დიდის ხნის ნაცადია, ხელ-მეორედ აღარ გაუხადოს მთავრობას საცდელად. ამითი დიდი დრო და ხარჯი შეინახება და ამისთანაებში ერთიც და მეორეც სანატრელი უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც მართლა საქმე უნდა და არა ტყუილ-უბრალო ფართი-ფურთი. ჩვენის ფიქრით, კახეთის შესახებ ზეთის ხილის ხეირობის ცდას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს, რადგანაც იქ, გარდანეხში მაინც, უკვე ნაცადია, რომ კარგად ჰხეირობს. ამიტომაც მთავრობას საბუთი აქვს აქ პირდაპირ შეუდგეს ზეთის ხილის ხის მოშენებას ან თითონ, ან ვისმე ცალკე კაცს მიეშველოს და ეგ სასარგებლო ხე გაამრავლებინოს ქვეყნისა და სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ამ ამბავს რომ იქაურმა მემამულეებმაც შესაფერი ყურადღება მიაქციონ და ამ ზეთის ხილის ხის მოშენებასა და გამრავლებას შეუდგნენ, ერთი კაი მოზდილი წყარო საზრდოებისა კიდევ მოემატება მათს კეთილდღეობას. ნამეტნავად საჭიროა ხელი მოჰკიდონ ამ საქმეს ეხლა, როცა ჩვენმა ვენახებმა იკლო და იმოდენას აღარ იძლევა, რომ კაცმა მარტო ვენახების მოსავალს წლითი წლობამდე შეჰყუროს. ზეთის ხილს დიდი გასავალი აქვს და კაი ფასიცა.

---

### ახალი ამბავი

*** ქართული სათეატრო დასი ამზადებს ამ ჟამად რამდენსამე ნათარგმნს პიესას. სხვათა შორის ამ მოკლე ხანში უნდათ წარმოადგინონ პიესა: „მეორედ გაახალგაზდავება“, გადმოკეთებული რუსულიდამ თ. დ. ერისთავის მიერ და „ცხოვრების მეჯლიშზედ“, ნათარგმნი ბ-ნ კ. ნასიძისაგან.

*** ამ მოკლე ხანში იქნება გამართული კონცერტი კლუბის დარბაზში პირველ გიმნაზიის შეუძლებელ შეგირდების სასარგებლოდ.

*** პრიკაზში დაგირავებულ ქალაქის მამულების ხელ-მეორედ დაფასება გაუთავებია კომისიას პირველს ოთხს საპოლიციო უბანში. დღეიდამ კომისია დაიწყებს ხელ-მეორედ მეხუთე საპოლიციო უბნის მამულების დაფასებას.

*** ქალაქის გამგეობა, როგორც მკითხველებმა იციან, დაუყოვნებლივ ჰკრეფავს ახლად-დაწესებულ ხარჯის ფულს ურმებიდამა და «პოვოსკები-

---

## ფელეტონი

### დემეტრეს სახლობა

(მოთხრობა)

II*)

პატარა მთხოვრები

დილიდამ მოკიდებული სალამომდის ქუჩა-ქუჩა დაწრწოდა ორი ბავშვი; წინ ჯიბის მსგავსად ეკიდათ ვეებერთელა თოფრები და დაატლაკუნებდნენ; გამვლელსა და გამომვლელს მათგან მოსვენება არა ჰქონდა. კვირა-უქმე დღეობით სასწერის მეიდნიდამ ვერ იშორებდნენ, აპარავდნენ ვაშლსა, მსხალსა, კართოფილსა, თუ ისე არ უწყალობებდნენ. ეს ორი მაწანწალა მთხოვრები იყვნენ ძმა და და; ძმას ერქვა ილო და დას თინა; გოგო ძალიან ეშმაკი და ცქვიტი გოგონა იყო; მუდამ ფეხ-შიშველი დადიოდა; გაცვეთილის კაბის ქვედა ტანი ფარა-ფარად ჰქონდა ნაქცევი; ზედ გამხმარი გოროხები ეკიდა და ამ ფარა-ფარად ნაქცევ კაბიდამ შავად ატარტლული გაზები უჩანდა; ფანჯარასთან აიტუზებოდა და იქნამდის ილაქლაქებდა, მინამ მოწყალებას არ მიიღებდა სახლის პატრონისაგან; კეტი რომ დაგემტერიათ ზედ, ნაბიჯს არ გადასდგამდა ფანჯრიდამ; ისე მოისაწყლებდა თავს, რომ ადამიანს გულს დაუთუთქავდა. მხოლოდ თვალებში შეატყობდი, რომ ერთობ გასალახანებული, გაეშმაკებული და ქუჩის ბიჭებისაგან გალირფული იყო. ძმა-კი ასეთი არ იყო; თუ და არ დაარიგებდა და ვისთანმე არ მიგზავნიდა, ის თავისით ვერ გაჰბედავდა; საბრალო ილო ძლივს დაბაჯბაჯებდა ქუჩებში; ძნელიც იყო იმისათვის სიარული: ცალ ფეხზე ეცვა დიდის კაცის ფეხის მოღრეცილი წაღა, რომელსაც მაღალი ხარაზული ქუსლი ზემოდ ჰქონდა მოქცეული, და დოლაბიეით ეყარა ფეხში; მეორე ფეხზე ეცვა ძირ-გავარდნილი ჩუსტი, რომელსაც ძირის მაგივრად ედო მსხვილი ლაზლის წინდის ფარატინი და წითელის მჩერით შეკრული ფეხის ზურგზედ; ფარატინი ძაღლის ენასავით წაშვერილი იყო და სიარულის დროს წკაპა-წკუპი გაჰქონდა.

ეს და-ძმანი დემეტრე ხარაზის შვილები იყვნენ. გოგო თინა ამ დროს თითქმის თორმეტ-ცამეტის წლისა იყო; ილო ბიჭი-კი შვიდი-რვა წლისა. იმ უბნიდამ, სადაც ისინი იდგნენ, დედა შორს უბნებს უნიშნავდა სათხოვნელად. პატარა მთხოვრები უფრო ბაზარ-ბაზარ და დუქან-დუქან დაწანწალებდნენ სათხოვნელად. დუქნებში წანწალმა და თრევამ უდაღოდ არ გაუშვა მთხოვრები: იგინი დღითი დღე სალახანავდებოდნენ; გოგო ხომ სულ გაურცხვდა, გალირფდა. ბაზრის ბიჭებისაგან დალილავებული ჰქონდა თინას მკლავები და გვერდები. ბაზაზის შეგირდების ბილწსა და უსირცხვილო ლაპარაკს გოგომ ყური ისე შეაჩვია, ისე შეეთვისა, რომ, როცა თავისებურის ალერსით არ გამოელაპარაკებოდნენ, თვით მისცემდა ხოლმე საბაბს, აელასლასებინათ ენა და უწმაწურს საგნებზედ ჩამოეგდოთ ლაპარაკი; ამ დროს არ შეიძლებოდა არ დაეტყუვნა რამე ურცხვ მოარშიყეთათვის. პატარა ბიჭს ხომ დღე-მუდამ მაიმუნობას ათამაშებდნენ ხოლმე. შეიჩვიეს ბაზარში და როცა იმისს დას დასცინოდნენ და ჩქმეტით გვერდებს აჭამდნენ, ილოს, რომელსაც მეტ სახელად თუნია დაარქვეს, ერთი ვინმე შაქრის ნატეხს გადმოუგდებდა და ეტყოდა ხმა მაღლა:

— აბა, თუნია, მაიმუნიეით შეხტი და დაიძახე: შიშლოჯან! თუნიაც შეხტებოდა, დაიჭერდა შაქარს და უმსგავსად, ბაიყუშიეით გაიძახოდა: „შიშლოჯან“-ს; ბაზარი ხარხარებდა და ერთობოდა.

მეორედგან ვაშლს გადმოუგდებდნენ:

— აბა, თუნია, სწორე გაიარე მაგ შენი „საპოგებითა“ და ეს ვაშლი შენი იყოს. აბა ჰა!.. ჰაი, შე ძაღლის წიწილო, როგორ დადიხარ, ჰა! ჩაარტყავდნენ თავში და დახეული რუსული ქუდი, რომელსაც კიზიროკი ორად ჰქონდა გაყოფილი, ყურებზე ჩამოეფხატებოდა ხოლმე. აწვალებდნენ, სტანჯავდნენ და როცა მოიკლავდნენ სურვილს ადამიანის ღირსებისა და ბუნების შელახვისას, მაშინ ძლივს მისცემდნენ დაპირებულს ქრთამსა. ამასაც არა სჯერდებოდნენ. როცა ცუდი დარი იდგა და დახურულს ბაზარში ბაზაზები უმუშტრობით ჭირიან ინდოურისავით თავებს ჰკიდებდნენ, მაშინ უნდა გეყურებინათ ამათის მასხარაობისათვის: გახდიდნენ დას ვითომ მგლად, ძმას ძაღლად, გამოუყენებდნენ ერთმანეთს და შესდგებოდა წიოკობა. ერთხელ ძმა მგლად გახადეს და ქამრით დაიჭირეს; გადუგდეს თუნიას შაქრის ნატეხი და რუსულის პურის ყუა. თუნია მართლა მგელივით დაეტაკა; გაუშვეს ძაღლი თინა; ეცა ძმას და ამოიდო ქვეშ; ამას ზედ მიჰყვნენ ბაზაზის შეგირდები და შეიქმნა ზედახორა და ძლივს ცოცხალ-მკვდარმა მგელმა—თუნიამ თავი დააღწია ამ ვაი-უშველებელს.

სალამოთი მთხოვრები დატენილის თოფრებით მიდიოდნენ დედასთან; წამოჰყრიდნენ თოფრიდამ და რა არ იყო შიგ ალუფხული: ხახვი, ნიორი, დამპალი ხილი, პურის ნახორხლები, ხორცის ნაჭრები და სხ. ამ გვარები. მთხოვრობის გარდა ქურდობასაც მიჰყვეს ხელი, დღისით კუდიანი თინა დაათვალიერებდა ბაყლების სარდაფებს, სადაც სხვა-და-სხვა ხილი, სიმინდი, ლობიო, მუხუდო და ამ გვარები ჰქონდათ შენახული. ღამე რომ გატყდებოდა, გაიპარებოდა, წაიღებდა კავიანს შამფურსა და ხილის ჯაგნებს გამოალაგებდა ხოლმე. თინამ ძმაც აიყოლია, იშოვნა თოკი და ერთს სალამოს შინ აღარ დაბრუნდა. რომ იდროვა, მიიყუჟა ერთს სარდაფთან.

— ილუავ, წელზედ თოკს მოგაბამ, ჩაძვერ, ღრმა არ არის, და რაც მოგხვდეს, თოფრაში ჩაყარე. შეუჩნდა ამ სარდაფს და სულ გააჩანაგა. ჩიოდნენ, ჰკვიროზდნენ, ვის და როგორ გააქვსო.

---

*) იხ. „ივერია“ № 252.

დამა და ამავე დროს ძალიან უნდილად ეკიდება თავისს მოვალეობას, რომ ხელი შეუწყოს სოფლელ ხალხს, რომელსაც საქონელი ჩამოაქვს ტფილისში გასასყიდად. თითქმის წლითი-წლამდე გაბმულია საჩივრები, რომ, მაგალითად, შეშის გამყიდველი სოფლელი სწორედ წამებულია ქალაქელ მხერხავებისაგან—მხერხავი ალამებს დღესა და ათენებს ღამეს დალალობაში, ატყუებს ცალკე მუშტარსა და ცალკე მეშეშე სოფლელს. ვსთქვათ, წრევანდლამდე კიდევ ეპატიებოდა ქალაქის გამგეობას, რომ ჯეროვანს დახმარებას ვერ უწევდა სოფლელს, რადგან ძრიელ ცოტა ჰყვანდა თავისი მსახური კაცები და ბაზრის ყარაულები. მაგრამ დღეის იქით-კი სწორედ შეუწყნარებელია, რომ მხერხავები ისევ აღრინდელებრ ავიწროებენ სოფლელებს, შეუწყნარებელია იმიტომ, რომ წინანდელს რიცხვს გამგეობის ყარაულებისას მიემატა ახალი კაცები, რომელნიც ამ დღე სულ ბაზარში დგანან და ფულს ართმევენ შემოსულს ურმებს. ამასთანავე, ყოველ ბაზარში თითო პოლიციელი მაინც დგას ყარაულად. ამ კაცებს ერთად სულაც არ გაუჭირდებოდათ ქომაგობა გაეწიათ სოფლელისათვის და მხერხავები ახლოც არ გაეწაწანებინათ ბაზრებსა და მოედნებში. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ხასტიკი ყურადღება გამგეობისა, მეტი არაფერი მაშინ მყიდველიც პირიანად იშოვნიდა საქონელს და გამყიდველიც მარტო იმ ზარალს ჰნახავდა, რომელსაც იძლევა ახალი ბაჟი, მეტს არა.

*** მომავალ კვირას «იტალიის» ბაღში გაიმართება ჰიდაობა საქველმოქმედო აზრით. იჰიდავებენ პროვინციის ცნობილი მოჰიდავენი. ეჭვი არ არის, რომ ტფილისის საზოგადოება, რომელიც ასეთის გულ-მოდგინებით ესწრობა ჰიდაობას, გინდაც რომ შემოსავალი მოჰიდავეთა სასარგებლოდ მიდიოდეს, უყურადღებოდ არ დასტოვებს მომავალს ჰიდაობას, რომლის შემოსავალმაც უნდა ხელი მოუმართოს ერთს ახალგაზდა მოსწავლე ქართველს. ეს ქართველი დღეს ერთ უმაღლესს სასწავლებელში ამთავრებს სწავლას და სწორედ ეხლა დასდგომია გაჭირება სილარიბისა. მით უმეტეს მოსალოდნელია, რომ თავისს წვლილს არავინ დაჰზოგავს ამ კეთილის საქმისათვის.

*** 28 ნოემბერს ქალაქის საბჭომ ერთ-ხმად გამოაცხადა თავისი თანხმობა დახმარებისა, რომელსაცა სთხოვენ ტფილისის სამეურნეო გამოფენის გამგენი. ქალაქმა თავის მხრივ ამ საქმისათვის გამოიღო 15 ათასი მანეთი.

*** გუშინ-წინ ქართულს თეატრში „დიდი მოურავი" წარმოადგინეს სცენის მოყვარეებმა. მაყურებლებად სულ მდაბიო ხალხი დაესწრო, რომელთა უმეტესობა თეატრში პირველად მოსულიყო. საბრალო სანახავი იყო ეს ტრაგედია ამ ახირებულ მოთამაშეთა შორის, ისე დაენაკუწებინათ, ისე ალთა-ბალთა გადასცემდნენ პიესის შინაარსს, რომ ჯვარცმულ ტრაგედიის დამწერიც-კი ვერ იცნობდა თავისს დიდს „მოურავს". როგორლაც საოცრად, თითონ დიდის მოურავის როლი სცენის მოყვარეებს ყველაზედ უნიჭო ამხანაგისათვის მიენდოთ, რომელსაც უნიჭობის გარდა სიბლუეცა სჭირდა. ეს ორი ბუნებრივი ნაკლი, ჩვეულებრივს უვიცობასთან შეერთებული, არას დროს ადამიანს თეატრისათვის გამოსადეგად არ გაჰხდის. მთელს იმ 270 კაცში უფრო ყურადღებას იქცევდა ქ-ნი რჩეულაშვილისა და სომხურის დასის არტისტი წოვაკი, რომელნიც კარგის გაწვრთნის შემდეგ შეიძლებენ მეორე ხარისხოვან არტისტობას ქართულს დრამატიულს დასში. ნუ-კი დაივიწყებენ, რომ მხოლოდ კარგად მომზადებისა და სწავლის შემდეგ მიგვაჩნია ჩვენ იმათი მეორე ხარისხოვან არტისტობა შესაძლებელად. სცენის მოყვარეებში უმეტესად სულ პაწიები იყვნენ და სასაცილო სანახავი იყო, როცა ცამეტ-თოთხმეტის წლის ჭაბუკი რომლისამე ძველის გვარის მოხუც თავადიშვილის როლში გამოდიოდა და გაჰკიოდა: „საქართველოს გაუმარჯოს!". აქვე უნდა ვსთქვათ, რომ პიესა მეტად დასახიჩრებული იყო და, სცენების შემოკლების გარდა, მოთამაშეთა სალაპარაკოც შემოკლებული და შეკრეჭილი იყო.

*** მე-4 პოლიციის ნაწილში, თამამშოვის ქარვასლის ახლო, 27 ნოემბერს, დააპატიმრეს პოლიციის მოხელეებმა სპარსეთის ქვეშევრდომი, იოსებ იონოვი, რომელსაც ერთი ტომარა ფქვილი მოეპარა ვაჭარ ტერ-მელიქსეტოვის საწყობიდგან.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

გურია. 24-ს ამ თთვისას ისეთი საქმე გამიჩნდა, რომ შეუძლებელი იყო ოზურგეთში არ მივსულიყავ, მაგრამ, სამწუხაროდ, არც შესაძლოდ მიმაჩნდა ამ მგზავრობის შესრულება. რა იყო ამისი მიზეზი? ცუდი დარი? „ფხიკიანი" სუფსა, თუ ვერანა ბახვის-წყალი? გზის სიწამხდრე, რაიცა თუ არ მუდმივი, ძალიან ხშირი მოვლენაა გურიაში, რომელსაც ბეჯითი მამასახლისები ჰყავს? არც ერთი, არც მეორე და არც მესამე. დარი გიორგობისთვის შესაფერად ჩინებული იდგა; სუფსა და ბახვის-წყალიც მოსვენებულნი იყვნენ; ჩვეულებრივის გიჟმაჟობითა და წყლის ჩქრიალით მიეშურებოდნენ თავიანთის გზით. ილბლად არც გზა ყოფილა სადმე ისე გაფუჭებული, რომ, თუ ცხენით არა, ქვეითად მაინც ვერ გაეტანებინა კაცს. მაშ რა მაბრკოლებდა, რა მაშინებდა? ის, რომ წინ მედო ნასაკირალი, ეს ჩვენში ყველაზედ შესანიშნავი სადგური ავაზაკთა. ნასაკირალი, რომელიც იშვიათად ვისმე გაუშვებს უშიშრად და უხიფათოდ, სადაც ამ ორის თთვის განმავლობაში თითქმის ყოველ ცისმარე დღე ისეთს სასაცილო და თან სატირალი ამბები ჰხდებოდა. მართალია, ჩემს ჯიბეს ფულისა თითქმის არა გაეგებარა, რომ შიშს ავეტანე, მაგრამ ვიცოდი, ჯიბე-ცარიელობას პანღური აუცილებლად მოჰყვებოდა. ესეც მაშინ, თუ „ნასაკირალის მებაჟენი" კარგს გუნებაზედ იქნებოდნენ. თუ არა-და, შეიძლებოდა, რომ ამ თავ გასულს ვაჟბატონებს არ მოვეწონებოდი თვალში და სამუდამოდ გავესტუმრებინე საიქიოს და ეს მიწყლავდა გულს. ბევრის ყოყმანისა და ტოკვის შემდეგ დავივიწყე შიშიც, სირცხვილიც, სიცოცხლე და სიკვდილიც და დავადექი გზას. მაგრამ დიდხანს არა ვყოფილვარ დამშვიდებული და მალე გამევსო გული თან შიშითა და თან სიბრაზით. ან-კი როგორ დავმშვიდებულიყავ, როცა, თუ სიკვდილი არა, გაპანღურება მაინც მელოდა. ნასაკირალამდე კარგა დიდი მანძილი მქონდა გასავლელი და მით უფრო გულ-გაყმაწვილებული იყო ჩემი მდგომარეობა. თუ სიკვდილს ავსცდებოდი, პანღურსაც, რომელიც საწყენიც იქნებოდა და სატკენიც, როგორმე გადავრჩებოდი, მაგრამ ხათაი ის იყო, რომ ოზურგეთისკენ აღარ გამაჭაჭანებდნენ, უკან დამაბრუნებდნენ. ამ ნაირად პანღურიც უნდა ამეტანა და საქმესაც მოვცდენოდი. ოზურგეთისკენ იმიტომ არ უშვებენ თურმე კაცს, რათა პოლიციამ არ გაიგოს, რომ ავაზაკები ბაჟ-ბეგარას იღებენ. მამაუცხონდათ! განა აქაური პოლიცია ისეთი მძინარაა, რომ უჩვენოდ ვერ გაიგოს ვინ რას სჩადის? დიახ, ჩვენი პოლიცია ფხიზელია და ბარე ორჯელაც გამოუგზავნია ბოქაული და ყაზახ-რუსები „ნასაკირალის მებაჟეთა" შესაბოჭავად, მაგრამ ვერას გახდარა. თითონ ნასაკირალზედაც რამდენსამე ალაგას სოფლიდგან გამოწვეული ყარაულები დარაჯობენ, მაგრამ ამაოდ. ფირალები მაინც ფირალობენ და იგინი რა ჯანდაბას უყურცულებენ იქ, არ ვიცი, უნდა მოგახსენოთ ჩვენებურად. აი, კიდეც მივატანე ნასაკირალს, ამ სახიფათო-საევგლახო ადგილს. გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო, თმა ამებურძგა და, რასაკვირველია, ფერიც მეცვლებოდა. გადავკარი მათრახი ჩემს ჯაგლაგს ცხენს, რომ რა არი ჩქარა გადამხდოდა, რაც უნდა ყოფილიყო ჩემს თავს. ოჰ! ნასაკირალო, რა საძაგელი რამ ხარ შენ შენის ოღრო-ჩოღრო და ბნელის ლადა-ღუდა ადგილებით! რამდენის უბედურებისა და ვაგლახის მოწამე ხარ, რომ უტყვი არ იყო და გამომძიებელთან შეგეძლოს ყველა იმისი თქმა, რაც გინახავს და რასაც ჰხედავ! ამ ფიქრში მივადექ საყარაულო კარავს, სადაც ერთის მეტი ყარაული ვერა ვპოვე და ისიც გოდორს სწნავდა.

— გამარჯვება, შეეძახე მე.

— გაგიმარჯოს.

— რა ამბავი, დღეს გაცარცვეს ვინმე? დავეკითხე.

— დღეს, დღეს, ვგონებ არავინ, ყოყმანით მიპასუხა.

ამ ლაპარაკს დროს ჩემი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ იქ თოფი არ სჩანდა და არც სხვა რამე საომარი იარაღი, გარდა წალდისა და დანისა, რომლებსაც ყარაული გოდორის დაწნაზე ხმარობდა. გაოცებულმა ვკითხე:

— თოფი რატომ არა გაქვთ?

— იმიტომ-რომ ვფრთხილობთ, მიპასუხა.

— ეგ სადაური სიფრთხილეა? ხელ-ახლა დავეკითხე.

— მაგას იქითა კარავში გეტყვიან, დაცინვით მომიგო და თან მუხლის თავებზე მოჰქმა თხილის ტკეჩი, რომ კარგად გადაწნულიყო.

მიხვდი, რომ ჩემი საუბარი არაფრად ეჭაშნიკა ყარაულს და განვაგრძე გზა. ცოტა კიდეც დავმშვიდდი, რაკი გავიგონე არავინ გაუცარცვავსთ დღესაო. მაგრამ იმან-კი დამაფიქრა, თუ უთოფობა როგორ და რა ნაირი სიფრთხილის ნიშანი იყო. ამ ფიქრში თურმე მეორე კარავთანაც მისულიყავი. აქაც ერთი ყარაული დამხვდა, რომელსაც ხაპი შეეწვა და მადიანად ილუკმებოდა ამ უძვალ-რბილო შეჭამადს. თოფი არც ამასა ჰქონდა.

— თქვენ ყარაული ხართ? დავეკითხე.

— გახლავარ. . არა გიშავს - რა, გასწი... დღეს არაფერი საშიში მომხდარა.

— არა იმას არ გეკითხები, თუ რა მოხდა. მხოლოდ ეს მითხარი, უთოფობა და ყარაული როგორ იქნება? როცა ეს ვკითხე, ჩემმა მესაუბრემ ისეთი ლაზათიანი ლუკმა იკრა პირში, რომ ჩემი სიტყვები არ გაუგონია და ამიტომ იძულებული შევიქენი ხელ-ახლა მეკითხა იგივე.

— კაცო, თოფი რატომ არა გაქვთ?

— იმიტომ-რომ გვეშინია.

— თუ გეშინიანთ, თოფი უფრო საჭირო არ არის?

---

ქურდობას თანდათან უმატეს. აი თინამ კიდევ შეჰგულა მოსაპარი ნივთები. ბნელა ღამეა; ქუჩაში ჩამი-ჩუმი არ ისმის; ხანდახან შუაბაზრის ასასი თუ არღვევს სიჩუმეს. პატარა ქურდები მოვიდნენ დანიშნულს ალაგას. თინამ ილო ჩაუშვა ფანჯრიდამ, რომელსაც წინად მიკრული ფიცრები ამოაცალეს; თოკი ვერ დაუწედინა; ილო ჰაერში ფართხალებდა; თინამაც ველარ შეიმაგრა და ილომ ძირს ბარტყანი მოიღო. შეჰქმნა ძირს ღმუილი და ვაი დედას ძახილი.

— სუ, შე პირშავო, თორემ მოგკალ! არავინ გაიგოს შენი ღმუილი, თორემ ხორცებს დაგაგლეჯ, ჩასჩჩინებდა თინა ჩამქრალის ხმით ზემოდამ. აჰა თოკი, ხელი მოჰკიდე. ილო ბნელაში ბორტიალებდა, ეპოტინებოდა ჩაშვერილს თოკს, მაგრამ ამაოდ; ღონე მიხდილი დაეცა ძირს და მორთო ღრიალი; თითონაც ძრიელ შესწუხდა; მიეკრა, მიეკრა სარდაფის ფანჯარას და ანუგეშებდა საბრალო ძმას; როგორც იყო გააჩუმებდა, მაგრამ ხელ-ახლად მოჰყვებოდა თავში ცემასა და ტირილს. ამასობაში ფანჯარასთან ატუზულს თინას წამოადნენ თავს პოლიციის მოხელენი ხიშტიანის ჯარის-კაცებით. გააცივა და გააცხელა თინა, მოიკუნტა, მოიკუნტა, როგორც ზღარბი; მიწას დაეკრა; მოკვდნენ, გაწყდნენ და ხმა ვერ ამოაღებინეს; ბოლოს ყურადღება ათხოვეს სარდაფში ხმაურობას. მიხვდნენ, რომ საქურდლად მოსულან უთუოდაო. პატარა მთხოვარა ქურდებს სტაცეს ხელი; ის ღამე საპყრობილის ნაგვიანს ოთახში გაათევინეს; უნდა გენახათ მეორე დღეს დილით ქალაქელების სეირი და თამაშა: ფუტკარივით დაედენენ ზედ, როცა თინა და ილო, თუნიად წოდებული, ხიშტიანმა ჯარის-კაცებმა პოლიციისაკენ გაატარეს.

### III

#### ნენე ყაზარასთან გადადის

ნენე სრულიად შესცვალა ქმრის სიკვდილმა და უფრო შვილების ყოფამ; იმათი გარეწრობა, გადასხვავება, იმათი ქურდობა დედას ხორცს უღნობდა; დაებნა თავ-გზა ჯერ ისევ ახალგაზდა დედაკაცს. შვილები ალარსად უშვებდა; ისევ თითონ დატრიალდა; ხან აქედ გარბოდა პურის საცხობად, ხან იქით—სარეცხის ღასარეცხად. მაგრამ ამითი მხოლოდ ლუკმას შოულობდნენ, ცარიელს ლუკმას! სხვა? ყაზარას ვალისათვის რაღა ექმნა? აი ეს იყო ნენეს დარდი და ვარამი, ეს იყო იმისი საგონებელი. მოჯამაგირედ დადგე ვისთანმე? ჰფიქრობდა იგი. უნდა დადგეს; მეტი ღონე რომ არ არის. მაგრამ... აი ეს მაგრამი იყო იმისი თავში საცემი. მივიდოდა თუ არა ამ „მაგრამამდის", სულ გადაერეოდა აზრები და გაჩერდებოდა. ვისთან დავდგე? ვისთან მივიყვანო შვილები? ვინ იტვირთებს ჩემს თინას? ილოს ხელობაზე მივცემ. თინა? ვისთან დავტოვო, ვის ვანდო? ვანდო და ვაი თუ სამუდამოდ გამოვეთხოვო, ვაი თუ ნამუსახდილი მომიგდონ, მერე? ჰფიქრობდა საცოდავი.

ჯერ ქმარი დაუმარხავი ჰყვანდა; საფლავი ჯერ ისევ სველ-სველი ჰქონდა და ნენეს მოსვენებას არ აძლევდა ხალხი: ათასს ჭორებს უგონებდნენ. როცა სამუშაოდამ მოდიოდა ხოლმე შინისაკენ და დუქნებისაკენ მოუხდებოდა გამოვლა, ქუჩის პაჟარნები ცუდს ლექსებს აგონებდნენ, თითქმის ზედ წაეგლასუნებდნენ, უსირცხვილოდ აეტორღიალებოდნენ ხოლმე, უფრო იმიტომ-რომ იცოდნენ ღარიბია და შესცდებაო. ნენე თოფნაკრავ ნადირივით აუქცევდა გზას უსირცხვილო პაჟარნებს, სირცხვილის ოფლს დაასხამდა, თვალთ დაუბნელდებოდა და ღელვისაგან მიერალივით აურევდა ხოლმე ფეხს. კარგად იცოდა ქალაქის ხალხის უსირცხვილობის ამბავი, მერე იმ ქალაქისა, სადაც ცხოვრებდა და სადაც ხალხი განთქმულია ძველადგანვე თავისის მატრაბაზობითა, ჭორიკანობითა და ბაზრის ხალხი უსირცხვილო და წრეს გასულის ქცევით.

ყაზარამ შეუჩინა ნენეს ერთი ბებერი დედაკაცი, რომელიც ურჩევდა ყაზარას დასდგომოდა მოჯამაგირე დედაკაცად და ამ გვარად გადაეხადნა იმისი ვალი. მარტივი სული ნენესი როგორ მიხვდებოდა ყაზარას განზრახვას. ბებერი ხშირად შემოპრაკუნდებოდა ხოლმე ნენესას; ნენეც შეეჩვია იმ აზრს, რომ ყაზარასთან გადასულიყო, უფრო იმიტომ დაჰხარბდა, რომ თინაც თავისთან ეყოლებოდა, თავის თვალ-წინ, გაუფრთხილდებოდა და იქნება როგორმე დაებინავებინა. ერთხელ საღამოთი ბებერი მოვიდა ნენესთან და წაიყვანა ყაზარასთან მოსალაპარაკებლად. ყაზარა მაშინ ქვრივად იყო; ჰყვანდა ორი უმსგავსი, დახვლიკული, გასათხოვრად მომზადებული ქალი და ერთიც ვაჟი, რომელიც სასწავლებელში დადიოდა. ყაზარა ახალუხა იყო და სწორედ კოლოტსა ჰგვანდა; ცხვირი ნამდვილად ღორის გოჯს მიუგვანდა; თვალები მთლად ქონის ბადეში ჰქონდა გაბმული.

— ჰო, რა ჰქენ? მოიხვედი ჩემს ჰკუაზე? ჩემო ნენე, ვალს გადახდა უნდა. მა რა ეგონა იმ მამა-ცხონებულს შენს ქმარს! ქმარი რომ ვსთხოვე, მოეცა, ეხლა სამი თუმანილი ემართებოდა.

— რა ექნა, ალა-ბატონო, ქმარიც რომ მოეცა, ქმარი უმარხი დამრჩებოდა; იმ შავს დღეს ქამარი იყო ჩვენი ნუგეში; ზოგს ხალხი შეგვეწია, ზოგი ქმრის ფული და დავმარხე, როგორც იყო. ორიოდ გროში დამრჩა კიდევ, იმას სულს ხომ ვერ დავუმძიმებ; მღვდელი მყავს გასასტუმრებელი; ჯერ თითქმის დაუმარხავი მყავს ის უბედურის შვილი.

— ვა, მე რა ვქნა. მე ხომ არ მომიკლავს, ადამიანო, ჩემი ფულისა რა გადასახადია. იცი, რა წვა და

— არა, ჩვენს ქიზიყში სხვაფერ წერია. მარა შენ შენ გზაზე რომ წახვიდოდე, უკეთესს იზამ. როგორც გეტყობა, აფერი ჩვენი გამომძიებელი ხარ.

ამაზე ცოტა გული-კი მომივიდა, მაგრამ ვის რას ვეტყოდი. ვხედავდი, რომ ყარაულებს ყაჩაღებზე არა ნაკლები გაპანღურება სცოდნიათ. პანღური იყო, მაშ რა ჯანდაბა, რომ ჩემს კითხვაზე არც ერთმა პირდაპირი პასუხი არ მომცა. ერთი ამბობდა: ვფრთხილობთ და იმიტომ არა გვაქვს თოფიო. მეორემ მითხრა, შიშია უთოფობის მიზეზიო. ეს რა ხალხში ჩავარდი, შენი ჭირიმე, როგორი ქართული სცოდნიათ? აგერ მესამე კარავი და ყარაულიც. მინდოდა ამისათვის არაფერი მეკითხა, მაგრამ მისმა ზრდილობიანმა სალამმა და მშვიდობიანმა სახემ დამარწმუნა, რომ ეს გულ-უბრყვილო კაცი იყო და თუ რასმე ვკითხავდი, მართალს მეტყოდა. არც მოვსტყუვდი. იმან ყველაფერი მიამბო. თურმე ნუ იტყვით, ყარაულებს თითონ ეშინიანთ, ყაჩაღებმა თოფი არ წაგვართვანო და ამიტომ ფრთხილობენ და უთოფოდ და უიარაღოდ ყარაულობენ. ღვთის წინაშე, არც გასაკიცხნი არიან. ყაჩაღები, როგორც ამბობენ, მარტინის თოფებით არიან აღჭურვილნი. სოფლელებს-კი „ჩვენებური, ძველებური“, ტალ-კვესიანი თოფები თუ აქვსთ, ისიც დიდი ღვთის წყალობაა. სანამ კვესი ტალს ნაპერწკალს გააგდებინებდეს და საპირწამლეში და ლულაში წამალს ააფეთქებდეს, მანამ მარტინა თხუთმეტჯერ დაიჭექებს. ხოლო სანამ ჩვენებური თოფი ხელ-მეორედ დაიტენება, მანამ ხომ ყაჩაღები თავისას იქმონენ. ამ რიგად ნასაკირალის ყარაულები ტყუილ-უბრალოდ სცდებიან ოჯახს და მხოლოდ „ფორმისათვის“ არიან...

მივატანე ოზურგეთსაც და ღმერთს მადლობას ვსწირავ, რომ ყაჩაღებს გადავრჩი. ოზურგეთში რაღაც არაჩვეულებრივი მოძრაობა და მითქმა-მოთქმაა. სახეზე ყველას განცვიფრება ეტყობოდათ და თვალებში შიში. ვუცქერი ამ სურათს და თან მაგონდება წყლის მოვარდნა ოზურგეთში, რომელმაც 1876 წ. სრულიად მოაფოლიანცა და მოაოხრა ეს ჩვენი ქალაქი. მაგონდება ცეცხლი, რომელმაც ამას წინად სრულიად ამოჰბუგა. მაგრამ არც ცეცხლი სჩანს, არც წყალი იძვრის. ამ ფიქრსა და მოგონებაში რომ ვიყავ, შემომეყენა წინ ერთი ჩემი ნაცნობი, რომელსაც სალამის უმალ ამ საერთო განცვიფრების მიზეზი ვკითხე. აღმოჩნდა, რომ დღეს ნატანებიდამ ოზურგეთისაკენ მომავალ ფოსტას დახვედრიან ყაჩაღები, რიცხვით სამნი, რომელთაც ცხენები მოუკლავსთ და საფოსტო აბგები მოუტაცნიათ და გაქცეულან. არავინ იცის ნამდვილად, თუ რამდენი რა არის მოტაცებული, ამბობენ-კი, რომ ოზურგეთის „ჩინოვნიკობა“ ამ თვეის ჯამაგირს ეხლა მოელოდაო. უეჭველია რამდენიმე ათასი მანეთი იქნებოდა საფოსტო აბგაში. ეს კი არის სწორედ დამაფიქრებელი და დამაღონებელი ამბავი და ბარაქალა, ოზურგეთელებო, რომ დაფიქრებაცა და დაღონებაც შეგძლებიათ.

ეხლა ვეკითხავთ: ნუ თუ ისეთი საშიში დრო დაგვიდგა ჩვენ ბედკრულთ, რომ არა თუ კერძო კაცი და მისი ქონება, არამედ სახელმწიფო საკუთრება და საზოგადო დაწესებულებაც ხიფათში ჩავარდა? სადა აქვს სათავე და შესართავი ამ გვარს ბოროტ-მოქმედებას და ქვეყნის საზრუნველად მოწვეულთა უზრუნველობას?

რასაკვირველია, ამის პასუხს არავინ გვაღირსებს და ამიტომ თუ შევიძლეთ და ყაჩაღებმა სრულიად არ აგვიკლეს, შემდეგისთვის ჩემსავე საკითხავს პასუხს გავსცემ.

დათიკო ვერმიცანაშვილი

---

## ან. ფურცელაძის წერილის გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

Уймись, дружокъ! къ чему журнальный шумъ
И пасквилей томительная тупость!

Пушкинъ.

დიდება ღმერთსა! მე აქამდე არ ვიცოდი, რომ ჩემგან დაკრულის მათრახის სიმწვავე ასე დიდხანს გასტანდა: ოც-და-ოთხს სექტემბერს ბ-ნ ანტ. ფურცელაძეს მათრახი მოვახვედრე და ოც-და-ცხრა ნოემბერს ჯერ კიდევ „ვაი“, „ვაის“ გაიძახის.

ჩემი მოკლე წერილის საგანი არც ანტ. ფურცელაძის კუდა-თავ-მოყვარეობის ქილიკად აგდებაა, თუმცა თითქმის ჩემი ბლავვის კალმის საკვრეჯიშოთაც კი საკმაო მოედანს წარმოადგენს,— არც იმისი მშვენიერი ქართულის გატრიზავებაა, თუმცა, ღვთის წინაშე, რაღაც უხილავი სულიერი კი მეჩურჩულება: გაიგდე წინ და შეატყობინე ხალხს, რა მექართულე ბრძანებულა ეს „ინიციალების“ და „ფსევდონიმების“ პატრონი ძველი ლიტერატორიო (?),— და, მერწმუნეთ, არც ჩემი თავ-მოყვარეობის დაკმაყოფილებაა. ღიმილისა და სიბრალულის მეტი რა უნდა გამოიწვიოს ამ სიტყვებმა: „ბარემ კეზელისათვისაც შემედარებინა ჩემი თავი?“ საწყალი!.. ვიდაც სანდალას ლიტერატურულ ნაწარმოები დაწვრილებით იყო «ივერიაში» გარჩეული და ამ გაზეთის მკითხველები კარგად იცნობენ ამ ლაჰ-მოხვეული ტვინთხელას ქველ-მოქმედებას. ამისავე შესახებ მე რუსულს გაზეთ «Новое Обозрѣніе»-ში, რომლის მუდმივი თანამშრომელიც გახლავართ, დავსწერე წერილი და თითქმის იგივე აზრი წარმოვსთქვი, რაც «ივერიაში» იყო. განსხვავებას მხოლოდ ის წარმოადგენს, რომ თავაზიანობა აღარ გავუწიე. ერთ გვარის ნიშნით მე ვიცან გამოჩენილი ანტ. ფურცელაძე და კიდეც წარმოვუდგინე საზოგადოებას. აქამდე იქნება საეჭვო უოფილიყო ჩემი აღმოჩენა, მაგრამ ეხლა-კი მტკიცე საბუთი მიჭირავს ხელში: ეს საბუთი გახლავსთ ანტ. ფურცელაძის წერილი. აქამდე, მაგალითებრ, მე შემოვლო ნაპირ-ნაპირად ავუღოდი ამ დაბახანის რუს (სანდალას წიგნს) და პირდაპირ იმ სათავესთან მიმიყვანდა, რომელსაც ზედ აწერია: „ბ— თ გვარის დიდება“. ეხლა ასე შორს გამოკიდება საჭირო აღარ არის. შეადარეთ ფურცელაძის წერილის დამჯდარი ლოღიკა, მშვენიერი ქართული, დარბაისლური კილო სანდალას ნაწარმოებთან და თქვენ თითონ დარწმუნდებით, რომ ორივენი ერთი ჭურჭლიდამ არიან წამოთქრეულნი.

დავით კეზელი

---

## უცხოეთი

საფრანგეთი. დიდი ამბავი ყოფილა პარიჟში 20 ნოემბერს, კვირა დღეს. იმ დღეს მშვენიერი დარი იდგა და დიდი და პატარა მიისწრაფოდა იმ სასაფლაოსაკენ, სადაც დამარხულია გვამი ბოდენისა. დილის 11 საათზევე შეგროვდა ხალხი საქალაქო საბჭოს წინ. იქვე მოგროვდნენ დელეგაციები, რომელთა ჩამოთვლა, როგორც ამბობს ერთი ფრანგული გაზეთი, მთელს სვეტს დაიჭერს გაზეთისას. ყველა დელეგაციებს თავისი გვირგვინები უჭირავთ ლენტებითა და ზედ-წარწერებით. ქალაქის სასტუმროს წინ დგანან განცალკევებით სენატორები, დეპუტატები, საბჭოსა და გამგეობის წევრნი. ასე 1 საათზე გამოვიდა პრეზიდენტი საბჭოსი დარლო და იმას გამოჰყვნენ დანარჩენი მისი ამხანაგნი. მათ შემდეგ წამოვიდნენ სენატორები და დეპუტატები. დეპუტატებ შორის იყვნენ: კლემანსო, პელტანი, ნატოლ-დეფორჟი, ფელიქსპია და სხვანი. ამათ მოსდევდნენ დეპუტაციები გვირგვინებით, წარმომდგენელნი გაზეთებისანი, ჯალაბნი 2 დეკემბერს დაჭრილთა და დაკოდილთანი, მუშა-ხალხი, სტუდენტობა. მარტო სტუდენტობა იყო ათას ხუთასზე მეტი კაცი. გზაში ისმის ძახილი: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ „არ გვინდა ბულანჟე!“ „არ გვინდა როშფორი და იმისი გაზეთი!“ ამოდენა ხალხი ამბობს „მარსელიეზას“. ხალხში არიგებენ პატარა წიგნებს, რომელსაც სათაურად აწერია: „რა უნდა ითქვას ბოდენის საფლავზე“. აი ერთი ადგილი ამ წიგნიდამ:

...„იმ დროსა ვცხოვრობთ ჩვენ, როცა ჩვენი სამშობლო მიზანში ამოუღიათ მტრებს. რეაქციონერებს პირი დაუსკვნიათ დიდის ერის დასალუპავად. მცირეოდენი უთანხმოება ჩვენს შორის ბევრს გვანანიებს ბოლოს. ჩვენ ვიცით რაც უნდათ იმ ფარისეველ რესპუბლიკელებს. ჩვენ გვესმის იმათი ლაპარაკი და ნუ თუ ისე მოვიქცევით, რომ სამშობლოს მოღალატეთათვის გასახარელი იყოს? ხოლო თქვენ, მოზარდნო თაობანო, ნუ თუ თქვენს ბედს მიანდობთ ვიღაც დაშნა-მყლაპველს, მხოლოდ იმიტომ—რომ რესპუბლიკამ ვერ შეგისრულათ ყოველივე ის, რასაც დაგპირდათ. როცა ბოდენმა თავი დასდო, რესპუბლიკა ილუპებოდა. დღეს რესპუბლიკა ცოცხალია და მისი გულის-ცემა ამტკიცებს მის სიცხოველეს. თქვენზეა დამოკიდებული დაცვა მისი. ბოდენი, როცა კვდებოდა, უიარაღო იყო. თქვენ ხელში გაქვთ ყოველ-გვარი იარაღი, ხოლო თქვენს მტრებს— ცარიელი სულელური გულზვაობა. შეჰხედეთ ამ თქვენს მტრებს თვალში და დაეცით შიშის ზარი“.

რივოლის ქუჩასა და სევასტოპოლის ბულვარის ქიმში მოისმა ძახილი: „მოგვაშორეთ ქურდები!“, „დაგვეკარგნონ ვილსონები“, „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ ბოლოს ეს აუარებელი და ზღვა ხალხი მივიდა სასაფლაოსთან. სასაფლაოს შესავალში ბოდენის ქანდაკება იყო ამაღლებულს ადგილას. ბოდენი ძირს არის გართხმული და შუბლზე ნატყვიარი დაწყლულებელი აქვს. საბჭოს პრეზიდენტი ავიდა ამაღლებულს ადგილზე და დიდის გრძნობით წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც ასე გაათავა:

...„ჩვენ მოვედით აქ იმიტომ-კი არა მხოლოდ, რომ პატივი ვსცეთ ბოდენსა, არამედ იმიტომაც, რომ გულის-ხმა ვყოთ და ჭკუა ვისწავლოთ. მთელს ერს, მთელს ხალხს, აქ მოსულს ამ ჟამად, მთელს საფრანგეთს ესმის ეხლა ხმა ბოდენის საფლავის სიღრმიდამ: „გაუმარჯოს რესპუბლიკასაო!“

---

## წვრილი ამბები

პარიჟში ამზადებენ დასაბეჭდად დედოფალ ნატალიას განქორწინების ისტორიას, რომელშიაც ყველა საბუთები იქნება მოთავსებული მეფე მილანისა და იმისის მეუღლის საქმის შესახებ. ამ საბუთთა შორის წიგნში დაიბეჭდება თურმე რამდენიმე საიდუმლოდ მოხსენებული ვითარება საქმისა, უცხო სახელმწიფო წარმომადგენელთაგან წარდგენილი, იმ წარმომადგენელთაგან, რომელნიც ბელგრადში იყვნენ გამწესებულნი.

— ამ დღეებში პარიჟის Opéra-ში წარმოუდგენიათ პირველი წარმოდგენა კვლავ განახლებულისა და გადაკეთებულის ოპერის „რომეო და ჯულიეტა“.

---

დაგვით მიშორენია მე ქონება? მე შენზედ ღარიბი ვიყავ, მაგრამ აი დღეს მეფე ვარ. უწინ ბაზარში ვერ გაივლიდი ხოლმე: „ქეციანი ყაზუა მოდისო“, იძახოდნენ. ეხლა-კი ისინი, ვინც ქეციანს ყაზუას მეძახოდნენ, ყაზარ სტეფანიჩს მეძახიან; ქუჩაში სალამს ვერ დავასწრობ ხოლმე. ჯორიც არა მყავნდა, სულ ზურგით დამქონდა საავჭრო სოფელ-სოფელ. რაც მე ცემა-ტყეპა მქონია სოფლის ქედანა გლეხებისაგან, ვინ დასთვლის. ერთხელ გვერდაზე კნიაზებმა ყუთი დამიგორეს და სულ ლუკმა-ლუკმა მიქციეს. რა მექნა, მოვითმინე. პირიქით, სულ ჭირი მოვჭამე. ბოლოს იქამდის მივიდა საქმე, რომ ქათმებსა და კვერცხებს ისევ იმ კნიაზებზე ვასაღებდი. ჩემი ყუთი ერთი ათად ავინაზღაურე. ცარიელ პურის ჭამითა და ცარიელის წყლის სმით ილაჯი იყო წაღებული, მაგრამ ვითმენდი. რიგიანს ხალხში ერთს წუთს ვერ გავჩერდებოდი სირცხვილით, სულ ისე მიყვიროდა მუცელი შიმშილისაგან, როგორც ჭალის მგელსა. კაპიკი კაპიკზე დამიდვია, ფული შემიდგენია, გამისესხებია; რამდენი დამწვია, ახლა შენ იანგარიშე. ერთმა გიჟმა კნიაზმა აშა მკრა ას თუმანზე. მეც თავის დროზე კაი ვაჟკაცი ბიჭი ვიყავ; შემხვდა ხარაზხანაში და მითხრა, თუ მე შენი არა მმართებს-რაო... ყური დამიგდე, რა მომივიდა... ვა, როგორ თუ არა გმართებს-მეთქი, მისამარ მამეცი-მეთქი, თორემ...

— კარგია, ყაზარო, და გაუთავე საქმე, ჩაერია ბებერი, რა დროს მაგისთანების ლაპარაკია.

— მაიცა, დედიჯან! მინდა გავაგებინო საქმე-და!.. მისამარ მამეცი-მეთქი, თორემ მე ყაზარ სტეფანიჩს მეძახიან-მეთქი.—რას მიზამო? შემომიტია... მე გულადად ვიყავ... კნიაზი უიარაღო იყო... სულს ამოგართმევ-მეთქი, ხულსა, შენი სული ჩემს ხელშია-მეთქი. ვა, იცი რა ჰქნა იმ კნიაზმა? უცბად ფეხიდამ გაიძრო მაღალ-ყელიანი წაღა და ერთი თუ ორი შენს ყაზარას უბასა და კისერში. აი შემომხედე, ორი კბილი ჩამაგდებინა. მერე მე რა ვქენ? თავი დავანებე? არა. მე დავეულბი, მუხლებზე მოვეხვიე, ჭირი მოვჭამე, ჭირი!! ის ასი თუმანიც გავისაღე და ერთი ნაჭერი კარგი მამულიც დამრჩა იმისი ტირიფონაში! აი როგორ მოუველ ოხტში იმ კნიაზს. ეს იცი რა დროს იყო, იცი? როკა ქეციანს ყაზარასკი აღარ მეძახდნენ, ყაზარ სტეფანიჩსა, გაგრძელებით სთქვა ყაზარამ ეს სიტყვები. ფულის შოვნას ბევრი ავი მოსდევს, მაგრამ მოთმინება უნდა, მოთმინება.

— რისთვის და ვისთვის ლაპარაკობ, ალა-ბატონო, მაგდენს. მე რისათვისაც მოვსულვარ, იმისი მიბძანეთ რამე.

— შენ ქმარსა ჰმართებს ჩემი ხუთი თუმანი თავნი. ახლა ორი წელიწადია სარგებელი არ ვიცი; თუმანში ათს შაურს იყო გარიგებული, ის ცხონებული, თვეეშია აი! არ დაგავიწყდეს-კი... ჯერ ექვსს თუმანს სარგებელი შერება, ახლა თავნი და...

— ალა-ბატონო, მითხარით რა გინდათ?

— ის მინდა, გავიგო, რითი გადამიხდი... ეს ბარბარე დედაკაცი გეტყოდა, რათაც დაგიბარე: შენ ჩემთან იცხოვრე... დედაკაცად რაღა! წელიწადში ოც-და-ხუთს მანეთს მოგცემ, ჩაგაცმევ, კარგს გაჭმევ და გასმევ, ჩემის მარმარას სულის მზემა... მერე შენ შენთვის და მე ჩემთვის... როცა ყველს გაათავებ, რაღას დაგიჭერ... ჰო, აბა, ნენე, იფიქრე, ისე შეგინახავ, როგორც ჩემი მარმარა, იმის სულის მზემა... მე ვინა მყავს, რო საქმეს მოერიდო...

ნენე ჩაფიქრდა; გადასწყვიტა, რომ მოჯამაგირედ დაუდგეს და ისე გადიხადოს ყაზარას ვალი. ყაზარას უკანასკნელმა სიტყვებმა ნენეს გული მოულბეს; დარწმუნდა, რომ ყაზარა ისეთი საშიში არა ყოფილა, როგორც ჰფიქრობდა. „ესეც ადამიანი არ არის, მგელი ხომ არ არის; გული აქვს; რაც უნდა იყოს, შეწუხებული ადამიანი შეებრალება. იქნება ჩემი საქმე ხეირად წავიდეს. ბიჭი ხომ შეგირდად მივაბარე; ამ გოგოსაც ჩემთან ვიყოლიებ და, როგორც იქნება, გავათხოვებ“, ჰფიქრობდა ტკბილად ნენე.

ნენე გარეთ უბნიდამ აიბარგა და გადმოსახლდა მოჯამაგირედ ყაზარ სტეფანიჩის სახლში. აქედამ დაიწყო ახალი ხანა ნენეს ცხოვრებისა. ნენეს მეზობლები ერთმანეთს ეცნენ, გაიგეს თუ არა იმისი ყაზარასთან გადასვლა; არ ეპიტნავათ, არ მოეწონათ საბრალო ახალგაზდა ქვრივის ასეთი გადაწყვეტილება.

— უიმე, გენაცვალე, ამ დედაკაცმა რა ჰქნა ესა, ამბობდა ერთი: არც იწერილა, არც იკითხა და ისე გადავიდა იმ ქოფკის სახლში? ის ხომ ქრისტიანის სული არ არის, ეშმაკისაგან არის შეკრული და დაწყევლილი. არც ნათესაობა სწამს, არც თვისი და არც ტომიო.

— ის კუდიანი ბარბარუა რაკი შეუჩნდა, ეშმაკსაც შეაცდენდა, დაურთო მეორე მეზობელმა. რა საჭიროა, სწორედ ხასად დაუჯდა ყაზარას; ის ქოფაკი, ისა, რაღა დროს იმისი ესეებია, კაცი სამარისკენ იყურება; გასათხოვარი ქალები სახლში უსხედან და ამისთანა საქმეებს-კი მისდევს.

— რა ექნა საწყალს ნენესაცა, თქვე დალოცვილებო; ერთი იცით და მეორე აღარა; მაშ რითი გადაეხადნა იმოდენა ვალი; ძალა ღმართსა ჰხნავსო. მაშ რა ექნა. ქა!.. ისეთი დაკრძალული ადამიანია, ჩემის შვილების ლხენამა, რომ ამ უბანში ორი არ მოიპოვება; ნამუსიანი და კარგი ქალია, ჩაერია ლაპარაკში ახლა სხვა: ყაზარასთანაები იმას ბუზსაც ვერ აუფრენენ. ვისთანაც გასვლია თავისი მიქარვები, ნენესთან აღარ გაუვა.

ნენეს ვექილმა მეზობელმა ყველას მუცელში ჩაუგდო ენა და შესწყვიტეს იმაზე სჯა და ლაპარაკი.

ს. მგალობლიშვილი

(დასასრული იქნება)

ტასი". ოპერის წარმოდგენაზედ გამ-ჯედ მუსიკისა იყო მოხუცებული შარლ გუნო და მონაწილეობას იღებდა ადელინა პატტი, რომელიც პირველად ჰთამაშობდა თავისს როლს ფრანგულს ენაზედ. თეატრი ავსებით სავსე იყო. ადგილების ფასი მეტის-მეტად დიდი იყო თურმე. მაგალითებრ, პარტერში თითო ადგილი ჰღირდა თურმე 120—480 მანეთამდე, ლოჟები ფასობდა 400 მანეთიდგან 600 მანეთამდე. უკვლაზედ იაფი ადგილი ჰღირდა 12 მანეთი. განთქმული კომპოზიტორი „ფაუსტისა" დიდის ტაშის-ცემით მიიღეს. პატტისაც გულ-მხურვალედ დახვდნენ. ამბობენ, რომ ეს საოცარი მომღერალი-ქალი ამ ბოლოს და ბოლოს დროს ხმასა ჰკარგავსო.

— პარიჟში გარდაცვლილა ამას წინად 103 წლის გრაფი ამორინი ბოლონიინი. გრაფი მეტის-მეტად თავისებური კაცი იყო. მაგალითებრ, ამ კაცს ყოველ დღე თითო პარიკი ჰქონდა (ბოლონიინი სულ ერთიანად მელოტი იყო), ყველა პარიკები ერთის ფერისა იყო და სხვა-და-სხვა სიგრძის თმა ჰქონდა. ერთს დღეს რომ გრაფი მოკლე-თმიან პარიკს გაიკეთებდა, მეორე დღეს უფრო გრძელ-თმიანს, ვითომ-და თმა ბუნებრივი მაქვს და მეზრდებაო. გრაფი დარწმუნებული იყო თურმე, რომ ვერავინ მამჩნევს, თუ პარიკებს ვატარებო.

— მაცარის (სიცილიაშია) სულით ავადმყოფთა სადგომში ამას წინად გარდაცვლილა 103 წლის ბაროხესა ლუჩენტი. ეს საბრალო ქალი იმისაგან შეშლილიყო ჭკუაზედ, რომ ამ ოთხმოც-და-ხუთის წლის წინად ერთმა გრაფმა იმისი სიყვარული უარ-ჰყო. მას შემდეგ ამ ქალს ოთხმოცი წელიწადი სულით ავადმყოფთ სახლში გაუტარებია და ამ ხნის განმავლობაში გრაფის სახელი არ განუშორებია პირიდგან. სიკვდილის რამდენსამე საათს წინადაც საბრალო 103 წლის მოხუცებულს უკითხავს, რომ მაშ ჯერ არ მოსულა ჩემი საყვარელი გრაფიო.

პეტერბურგის ბირჟა, 29 ნოემბ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 85 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 157½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 18 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 270 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 242 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

რუსეთს ერთი-ხუთად მეტს სესხს აძლევენ მარტო საფრანგეთში, ვიდრე თვით რუსეთს უნდა საჭირო სასესხებელი აღოს.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.
დეკემბერი 31 დღით არის.

1 დღე ხუთშაბათი. წინ.-მეტყ. ნაუმისა. კათოლ. წმ. ნატალიასი. სომეხ. წმ. პატრ. კლიმენტისა და პანკრატიასი. მაჰმად. მე-10 რიცხვი თთვისა რები-ულახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—სამეგრელოში გლეხნი განთავისუფლებულ იქმნენ ყმობისაგან, 1866 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54. ტფილისში მზე ამოდის 7—18, ჩადის 4—31. მთვარე 11 დღისაა.

2 დღე პარასკევი. მოციქ. ავაკუმისა. კათოლ. მოც. ავაკუმისავე. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-11 რიცხვი თთვისა რები ულახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 7—19, ჩადის 4—31. მთვარე 12 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | „ |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულ. კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 1 | 02 | 1 | 17 | რიონი . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი , . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა. . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი. . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წუთზედ.

ტფილისსა და სურამს შუა

| | დღისით | | | | | ღამით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი. . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა. . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | — | — | 50 | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |


# განცხადებანი

№ 4711
## გლიცერინის საპონი.

ამ საპონმა დიდი სახელი დაიმსახურა თავისის საუკეთესო თვისებით; იგი სხვა გლიცერინის საპნებისაგან გაირჩევა გლიცერინის სიხვერით, ადვილად აქაფებითა და მშვენიერის სუნით.

მყიდველებს განსაკუთრებით ვურჩევთ იყიდონ:
№ 4711 გროლისებრ მჭვირვალე ვარდის საპონი.
№ 4711 გროლისებრ მჭვირვალე ზამბახის საპონი.
№ 4711 გროლისებრ მჭვირვალე რეზედას საპონი.
№ 4711 გროლისებრ მჭვირვალე ო-დე-კოლონის საპონი.
№ 4711 საკუთრივ გლიცერინის საპონი.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააპთეკო და სააფთიაქო მაღაზიებში. (3—2)

იყიდება სოხუმიდამ 24 ვერსზე.

## მამული ვორონცოვისა

ათასი დღიური შენობებითა და სამეურნეო მოწყობილობით.

ვისაც ჰსურს შეიძინოს ეს მამული, მიჰმართოს დაწვრილებით გარემოების შესატყობად სოხუმში ივანე ვასილის ძეს ენიუტინს. (24—16)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

იყიდება ყოველ კვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან . . . . . . . | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები. ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ბ. კვიცარიძისა . . . . . . . | › | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა 1 ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის" გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ლამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| საიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია"

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 › . . . . . | 5 „ 25 „ | |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 › . . . . . | 4 „ 75 „ | |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 › . . . . . | 3 „ 50 „ | |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 › . . . . . | 2 „ 75 „ | |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 › . . . . . | 1 „ 50 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.


Доз. ценз. Тифлисъ, 30-го Ноября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე